



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

**სასაკლაოების, ელევატორებისა და
სამაცხვრე მეურნეობების გამოკვლევის
ძირითადი შედეგები**

2020

IV კვარტალი



17.02.2021

www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური


17.02.2021

სასაკლაოების, ელექტორებისა და სამაცივრე მეურნეობების გამოკვლევის ძირითადი შედეგები (2020 წლის IV კვარტალი)

სასაკლაოები

2020 წლის IV კვარტალში საქართველოში 100 ერთეული ცხოველთა და ფრინველთა სასაკლაო ფუნქციონირებდა, მათგან 19.0 პროცენტი - ქვემო ქართლში, 17.0 პროცენტი - კახეთში, 14.0 პროცენტი - იმერეთში, 12.0 პროცენტი - სამეგრელო-ზემო სვანეთში მდებარეობს, 11.0 პროცენტი - შიდა ქართლში, ხოლო დანარჩენი 25.0 პროცენტი სხვა რეგიონებშია განთავსებული:

საქართველოში მოქმედი ცხოველთა და ფრინველთა სასაკლაოები რეგიონების მიხედვით, 2020 წლის IV კვარტალი



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

17.02.2021

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, 2020 წლის IV კვარტლის განმავლობაში სასაკლაოებში დაკლულია 71.8 ათასი სული პირუტყვი, მათ შორის 37.7 პროცენტი მსხვილფეხა, ხოლო 62.3 პროცენტი - წვრილფეხა (ცხვარი, თხა, ღორი და სხვა). გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სასაკლაოებში დაკლული ფრინველის რაოდენობა 3 281.5 ათასი ერთეულით განისაზღვრა.

სასაკლაოების მიერ 2020 წლის IV კვარტლის განმავლობაში 9 460.7 ტონა ხორცი იქნა წარმოებული (იგულისხმება დაკლული წონა, ფრინველის ხორცის ჩათვლით), საიდანაც 30.0 პროცენტი მოდის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცზე, 47.8 პროცენტი - ფრინველის, 21.5 პროცენტი - ღორის, 0.6 პროცენტი - ცხვრისა და თხის ხორცზე, ხოლო დანარჩენს უმნიშვნელო წილი უკავია.

მომსახურება გაეწია 6.7 ათას პირს, საიდანაც 38.7 პროცენტი შინამეურნეობების (ოჯახური მეურნეობები) სახით იყვნენ წარმოდგენილნი. სასაკლაოებში დასაქმებულთა საშუალო თვიურმა რაოდენობამ 863 კაცი შეადგინა.

ერთეული პირუტყვის დაკვლაზე მომსახურების საშუალო ფასი შეადგენს: მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დაკვლის საფასური - 27.6 ლარი, ცხვრის ან თხის - 12.1 ლარი, ხოლო ღორის - 25.1 ლარი.


საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

17.02.2021

სამაცივრე მეურნეობები

2020 წლის IV კვარტალში საქართველოში 168 ერთეული სამაცივრე მეურნეობა ფუნქციონირებდა, რომელთა უმრავლესობაც შიდა ქართლის (60.1 პროცენტი) რეგიონშია განთავსებული. მოქმედი სამაცივრე მეურნეობები ასევე განთავსებულია ქვემო ქართლის (7.1 პროცენტი) რეგიონში, ქ. თბილისში (7.1 პროცენტი), კახეთის (7.1 პროცენტი), აჭარის (6.5 პროცენტი), სამეგრელო-ზემო სვანეთის (4.8 პროცენტი), იმერეთის (3.0 პროცენტი), გურიის (2.4 პროცენტი) და მცხეთა-მთიანეთის (1.8 პროცენტი) რეგიონებში:

საქართველოში მოქმედი სამაცივრე მეურნეობები რეგიონების მიხედვით, 2020 წლის IV კვარტალი




2020 წლის IV კვარტალის განმავლობაში მომსახურება გაეწია 239 მომხმარებელს. მწარმოებელთა და გადამამუშავებელთა რაოდენობამ, რომელთაგანაც შესყიდულ იქნა პროდუქცია - 587 ერთეული შეადგინა, ხოლო სამაცივრეებში დასაქმებულთა საშუალოთვიური რაოდენობა 1241 კაცით განისაზღვრა.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

17.02.2021

2020 წლის IV კვარტლის განმავლობაში მაცივრებში შენახული (განთავსებული) იყო 77.5 ათასი ტონა პროდუქცია, მათ შორის 60.0 პროცენტი ქათმის ხორცი (გაცივრების ჩათვლით), 16.3 პროცენტი ხილი და ბოსტნეული, 14.2 პროცენტი პირუტყვის ხორცი და ხორცპროდუქტები (ნახევარფაბრიკატების ჩათვლით), 5.5 პროცენტი თევზი, ხოლო დანარჩენ პროდუქციას უმნიშვნელო წილი ჰქონდა:

მაცივრებში შენახული პროდუქტების სტრუქტურა, 2020 წლის IV კვარტალი



სამაცივრე მეურნეობების მიერ შემდგომი რეალიზაციის მიზნით 2020 წლის IV კვარტლის განმავლობაში შესყიდულია 8.6 ათასი ტონა პროდუქცია. რაც შეეხება მომსახურების საფასურს - 5.2 მლნ. ლარი შეადგინა.

2020 წლის IV კვარტლის განმავლობაში სამაცივრე მეურნეობების მიერ გაყიდულია 54.9 მლნ. ლარის ღირებულების (10.9 ათასი ტონა) პროდუქცია, საიდანაც ღირებულებით გამოსახულებაში იმპორტირებულმა პროდუქციამ შეადგინა 45.9 პროცენტი, ადგილობრივი (საკუთარი) წარმოების პროდუქციამ - 29.4 პროცენტი. ამასთან, სამაცივრეების მიერ გაყიდული ადგილობრივი (საკუთარი) პროდუქციის 80.3 პროცენტი მოდიოდა ქათმის ხორცზე. იმპორტირებული პროდუქციის მნიშვნელოვან მოცულობას პირუტყვის ხორცი და ხორცპროდუქტები (ნახევარფაბრიკატების ჩათვლით) (36.2 პროცენტი), ქათმის ხორცი (გაცივრების ჩათვლით) (35.8 პროცენტი) და თევზი (20.9 პროცენტი) წარმოადგენდა.

სამაცივრეების მიერ გაყიდული პროდუქტიდან უცხოურ ბაზარზე თევზი, ხილი, ბოსტნეული და ქათმის ხორცი იქნა რეალიზებული.

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, კამერების საშუალო დღიური დატვირთვა (პროცენტულად კამერების ჯამური ტევადობიდან) ოქტომბერში შეადგენდა 61.0 პროცენტს, ნოემბერში - 63.6 პროცენტს, ხოლო დეკემბერში - 60.1 პროცენტს.


საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

17.02.2021

ელევატორები

2020 წლის IV კვარტალში საქართველოში 50 ელევატორი ფუნქციონირებდა, რომელთა უმრავლესობაც კახეთის (44.0 პროცენტი) რეგიონში იყო განთავსებული. ელევატორების 22.0 პროცენტი ფუნქციონირებს ქვემო ქართლის რეგიონში, 16.0 პროცენტი შიდა ქართლის რეგიონში, 8.0 პროცენტი - სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, 4.0 პროცენტი ქ. თბილისში, 4.0 პროცენტი იმერეთის და 2.0 პროცენტი გურიის რეგიონებში:

საქართველოში მოქმედი ელევატორები რეგიონების მიხედვით, 2020 წლის IV კვარტალი




2020 წლის IV კვარტალის განმავლობაში მწარმოებელთა და გადამყიდველთა რაოდენობამ, რომელთაგანაც შესყიდულ იქნა პროდუქცია - 106 ერთეული შეადგინა, ხოლო ელევატორებში დასაქმებულთა საშუალოთვიური რაოდენობა 923 კაციტ განისაზღვრა.

2020 წლის IV კვარტალის განმავლობაში ელევატორებში შენახული (განთავსებული) იყო 144.7 ათასი ტონა პროდუქცია, რომლის 74.4 პროცენტს წარმოადგენდა ხორბალი, ხოლო დანარჩენ პროდუქციას (სიმინდი, ქერი, ქათო და ა.შ.) უმნიშვნელო წილი ჰქონდა:

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

17.02.2021

ელევატორში შენახული პროდუქციის სტრუქტურა, 2020 წლის IV კვარტალი



2020 წლის IV კვარტალის განმავლობაში ელევატორების მიერ გაყიდულია 105.3 მლნ. ლარის ღირებულების 107.1 ათასი ტონა პროდუქცია, საიდანაც 52.5 პროცენტი იყო ადგილობრივი (საკუთარი) წარმოების.

ადგილობრივი (საკუთარი წარმოების) წარმოშობის პროდუქციაში, როგორც მოცულობის, ისე ღირებულების მიხედვით, ჭარბობდა ხორბლის ფქვილი, რომელზეც მოდიოდა ელევატორების მიერ გაყიდული ადგილობრივი პროდუქციის 81.1 პროცენტი.

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, ელევატორების საცავების საშუალო დღიური დატვირთვა (პროცენტულად საცავების ჯამური ტევადობიდან) ოქტომბერში შეადგენდა 38.9 პროცენტს, ნოემბერში - 34.6 პროცენტს, ხოლო დეკემბერში 33.0 პროცენტს.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკონტაქტო პირები:

დავით კუპატაძე, ტელ: 2 36 72 10 (200), E-mail: dkupatadze@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge